სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

ნოემბერი №21

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri

koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / Table of contents

oficialuri dokumentebi / Formal documents

oficialuri dokumentebi ---------- 5-51

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ---- ---------- 52-54

saqarTvelos erovnuli banki / **National Bank of Georgia** -------- 55-56

gadasaxadebi #21, 2018

GADASAKHADEBI #21, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №510

2018 წლის 31 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილებაში (სსმ, 13/05/2010, მუხლი 839) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების 1^1 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) შპს „საქაერონავიგაციაში“ დასაქმებული პირების სწავლებასთან, მომზადებასთან/გადამზადებასთან დაკავშირებით დასადებ ხელშეკრულებათა პროექტებზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №517

2018 წლის 31 ოქტომბერი, ქ. თბილისი

მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე

მუხლი 1

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191[2] მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესი და პირობები“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის

წესი და პირობები

მუხლი 1. მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესი და პირობები (შემდგომში – წესი) ადგენს მრავალშვილიანი მშობლ(ებ)ისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ელექტროენერგიის შეღავათის (შემდგომში – სოციალური შეღავათი) ოდენობას, მის მიმღებ პირთა წრეს და აწესრიგებს მის დანიშვნა-გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2

1. ამ წესის მიზნებისთვის მრავალშვილიანი მშობელი არის პირი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი ან/და ნაშვილები და მინიჭებული აქვს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი, კანონმდებლობის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირისთვის, რომელსაც ჰყავს ოთხი 18 წლამდე ასაკის შვილი ან/და ნაშვილები, ელექტროენერგიის სუბსიდიის (სოციალური შეღავათის) ოდენობა შეადგენს ყოველთვიურად არაუმეტეს 20 ლარს, ხოლო მე-5 და მომდევნო თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე – დამატებით არაუმეტეს 10 ლარს, მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობის გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სოციალურ შეღავათს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირის ოჯახი იღებს იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 300 000 პირობით ერთეულზე.

4. სოციალური შეღავათის მიღებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ მრავალშვილიან მშობელთა მონაცემთა რეესტრში (შემდგომში – მონაცემთა რეესტრი) მითითებული პირი.

ამასთან, ორივე მშობლისთვის მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, სოციალური შეღავათის მიღებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრება დედა.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი არ გაიცემა მრავალშვილიან მშობელზე, რომლის ბავშვები განთავსებულნი არიან სახელმწიფო მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბავშვების სახელმწიფო მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ განთავსების მიუხედავად, მრავალშვილიან მშობელთან მყოფი ბავშვების რაოდენობა შეადგენს არანაკლებ ოთხ 18 წლამდე ასაკის ბავშვს.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სოციალური შეღავათი არ გაითვალისწინება „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით გათვალისწინებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრირებული/რეგისტრაციის მაძიებელი ოჯახ(ებ)ის შემოსავლებში და არ არის ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის შეჩერების/შეწყვეტის ან/და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმების საფუძველი.

7. მრავალშვილიან ოჯახს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შეღავათთან ერთად, მიიღოს „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №381 დადგენილებით გათვალისწინებული ელექტროენერგიის სუბსიდია ან „აბონენტების მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 აგვისტოს №418 დადგენილებით გათვალისწინებული ელექტროენერგიის შეღავათი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 3

1. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სოციალური შეღავათის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო). სააგენტო უფლებამოსილია, სოციალური შეღავათის ადმინისტრირებისას გამოიყენოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარმოებული მონაცემთა ბაზ(ებ)ი, რომლებიც გამოიყენება სააგენტოს მიერ სხვადასხვა სოციალური პროგრამების ადმინისტრირებისას;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებული მონაცემთა რეესტრი (შემდგომში – მონაცემთა რეესტრი).

2. სააგენტო უზრუნველყოფს, ყოველი თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, მონაცემთა რეესტრში არსებული ინფორმაციის (პირადი ნომრები და არასრულწლოვანი ბავშვების პირადი ნომრები) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან შედარებას პირადი ნომრების მიხედვით. შედარების შედეგად, ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტ(ებ)ს მიეწოდებათ იმ აბონენტების ნომრები, რომლებზეც უნდა განხორციელდეს სოციალური შეღავათი. სოციალური შეღავათის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს, რომლებსაც გააჩნიათ ინდივიდუალური (არა საერთო მოხმარების) აბონენტების ნომრები.

3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3^1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სოციალური შეღავათის თანხის გადარიცხვა ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტზე არ წარმოადგენს ამ კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვას და შესაბამისად, საანგარიშგებო თვის სოციალური შეღავათის ანაზღაურება ხორციელდება სააგენტოსა და ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. სააგენტო უზრუნველყოფს:

ა) სოციალური შეღავათის ადმინისტრირებასა და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ქმედების განხორციელებას;

ბ) სოციალური შეღავათის გაცემისათვის საჭირო პერსონალური მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) დამუშავებას;

გ) სოციალური შეღავათის დაფინანსებისათვის სათანადო საბუღალტრო დოკუმენტაციის მომზადებას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) მონაცემთა რეესტრის სააგენტოს მიერ წარმოებულ მეურვეობა-მზრუნველობის ბაზასთან დადარებას;

ე) შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემას;

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.

5. სააგენტო არ არის უფლებამოსილი, მოახდინოს მონაცემთა რეესტრში არსებული, ასევე ლიცენზიანტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის ან/და ასანაზღაურებელი თანხის სისწორის შემოწმება და/ან რაიმე სახის კორექტირება.

მუხლი 4. სოციალური შეღავათის დაფინანსების წყაროა შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილი სახსრები.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №518

2018 წლის 31 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებაში (სსმ, №152, 14/12/2009) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №3 დანართის („სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო რაიონების მიხედვით სადაზღვევო ვაუჩერის ფასის დადგენისა და მზღვეველი კომპანიის გამოვლენის წესი და უწყებათაშორისი კომისიის სხვა უფლებამოსილებები“) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„1. სამედიცინო რაიონების მიხედვით ვაუჩერის ფასის დადგენის, მზღვეველი კომპანიის გამოვლენისა და კონკურსის შედეგად გამოვლენილი მზღვეველის ან ამხანაგობის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებისა და ასევე პროგრამის ზედამხედველობის მიზნით, შეიქმნას უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **დავით სერგეენკო** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **გიორგი წოწკოლაური** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) **მაია ლაგვილავა** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი;

დ) **ილია ბეგიაშვილი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი;

ე) **ეკატერინე სისაური** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე – კომისიის წევრი;

ვ) **საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე** – კომისიის წევრი;

ზ) **მიხეილ სარჯველაძე** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე – კომისიის წევრი;

თ) **ლევან რაზმაძე** – სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე – კომისიის წევრი;

ი) სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

კ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი – კომისიის წევრი;

ლ) **რევაზ მაჭარაშვილი** – კომისიის მდივანი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №519

2018 წლის 31 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/07/2016, 300160070.10.003.019366) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 და 1^2 მუხლები:**

„მუხლი 1^1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტექნიკური რეგლამენტის – „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №441 დადგენილება.

მუხლი 1^2. სურსათი, რომელიც ბაზარზე განთავსებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამავე დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია, ბაზარზე განთავსებულ იქნეს სურსათის „ვარგისიანობის მინიმალური ვადის“ ან „გამოყენებამდე ვადის“ ან „შენახვის ვადის“ გასვლამდე.“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“:**

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღ) **ვარგისიანობის მინიმალური ვადა** – ვადა, რომლის განმავლობაშიც სურსათი შენახვის სათანადო პირობების დაცვისას ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ თვისებებს. ვარგისიანობის მინიმალური ვადის გასვლის შემდეგ სურსათი აღარ უნდა იქნეს ბაზარზე განთავსებული;“;

ბ) მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ჰ^{12}$“ ქვეპუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ჰ[12]) **დამზადების თარიღი–** თარიღი, როდესაც სურსათმა მიიღო საბოლოო პროდუქტის სახე.“;

გ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სურსათის შესახებ ინფორმაციაში არ უნდა იყოს არანაირი მინიშნება დაავადების განკურნების ან სურსათის სამკურნალო თვისებების შესახებ, გარდა ბუნებრივ მინერალურ წყლებსა და განსაკუთრებულ დიეტურ სურსათთან დაკავშირებული ინფორმაციისა.“;

დ) მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ბიზნესოპერატორი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ზ“, „თ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება გარე შეფუთვაზე, რომელშიც მოთავსებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი დაფასოებული, წინასწარ შეფუთული სურსათი.“;

ე) მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) დამზადების თარიღი ან პარტიის ნომერი.“;

ვ) მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სურსათის კონკრეტული სახეობისათვის ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სურსათის შესახებ სავალდებულო მონაცემები განთავსებულ უნდა იქნეს შეფუთვაზე ან მასზე მიმაგრებულ ეტიკეტზე. შეფუთვასა და ეტიკეტზე ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს მკაფიოდ, გარკვევით უნდა იკითხებოდეს და გამოყენებული შრიფტის ზომა უნდა იყოს დანართ №3-ის – „x – სიმაღლის განსაზღვრა“ – შესაბამისად, ნუსხური („პატარა“) ასოს სიმაღლე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1,2 მმ-ს.

3. შეფუთული ან ტარაში მოთავსებული სურსათისათვის, რომლის ყველაზე დიდი ზედაპირის ფართობი 80 სმ^2-ზე ნაკლებია, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო ინფორმაციის განთავსებისას, ნუსხური („პატარა“) ასოს სიმაღლე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 0,9 მმ-ს.“;

ზ) 23-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სურსათი, რომელიც მიკრობიოლოგიური თვალსაზრისით მალფუჭებადია და შესაძლოა, ხანმოკლე პერიოდში წარმოქმნას ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები, „ვარგისიანობის მინიმალური ვადა“ უნდა შეიცვალოს „გამოიყენება ... მდე“ ვადით, რომლის გასვლის შემდეგ სურსათი მიიჩნევა მავნედ, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ) 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ძირითადი ინგრედიენტის წარმოშობის ქვეყანა ან წარმოშობის ადგილი სურსათის წარმოშობის ქვეყნის ან წარმოშობის ადგილისაგან განსხვავებულია.“;

ი) 28-ე მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად, დამატებითი ინფორმაცია ვიტამინებისა და მინერალების შესახებ გამოსახული უნდა იქნეს დანართ №12-ის „ა“ ნაწილის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა და გამოყენების რეკომენდებულ ნორმაში მათი პროცენტული რაოდენობის შესაბამისად, ყოველ 100 გ-ზე ან 100 მლ-ზე.

13. ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული გამოსახვის ფორმის გარდა, ამ მუხლის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებული ენერგეტიკული ღირებულება და საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) რაოდენობა, შესაბამის შემთხვევაში, შესაძლებელია, გამოსახულ იქნეს დანართ №12-ის „ბ“ ნაწილით – „ზრდასრული ადამიანისთვის სადღეღამისო გამოყენების რეკომენდებული ნორმები ენერგეტიკული ღირებულებისათვის და ცალკეული საკვები ნივთიერებებისათვის (ნუტრიენტისათვის), გარდა ვიტამინებისა და მინერალებისა“ – განსაზღვრული მოთხოვნებისა და გამოყენების რეკომენდებულ ნორმაში მათი პროცენტული შემცველობის შესაბამისად, ყოველ 100 გ-ზე ან 100 მლ-ზე.“;

კ) 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 31. დაუფასოებელ სურსათთან დაკავშირებული ინფორმაცია

1. თუ საბოლოო მომხმარებელს ან საზოგადოებრივი კვების ობიექტს მიეწოდება დაუფასოებელი სურსათი, მის გარე შეფუთვაზე სავალდებულოა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული მონაცემების წარდგენა.

2. თუ სურსათის დაფასოება ხდება რეალიზაციის ადგილებში, მომხმარებლის თხოვნის საფუძველზე ან დაუყოვნებლივ გაყიდვის მიზნით, სავალდებულოა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მონაცემების წარდგენა.“;

ლ) დანართ №1-ის – „ალერგიის გამომწვევი ან მომეტებული მგრძნობელობის მქონე ნივთიერებები ან პროდუქტები“ – მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. ამ დანართის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროდუქტები და მათგან მიღებული პროდუქტები იმ შემთხვევაში, თუ პროცესი, რომელსაც ისინი დაექვემდებარნენ შესაბამისი ორგანოს შეფასების თანახმად, სავარაუდოდ, არ გამოიწვევს ალერგიულობის დონის მატებას იმ პროდუქტებში, საიდანაც მოხდა მათი წარმოება.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მ) დანართ №2-ის – „სურსათი, რომლის ეტიკეტზე განთავსებული უნდა იქნეს ერთი ან რამდენიმე დამატებითი მონაცემი“ – მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სასმელი კოფეინის მაღალი შემცველობით ან სურსათი, რომელსაც დამატებული აქვს კოფეინი	
4.1. სასმელი, გარდა ყავის, ჩაის ან ჩაის ან ყავის ექსტრაქტის საფუძველზე წარმოებული სასმელისა, რომლის დასახელებაში გამოიყენება სიტყვები: „ყავა“ ან „ჩაი“, რომლებიც: – განკუთვნილია გამოსაყენებლად ცვლილების გარეშე და შეიცავს კოფეინს ნებისმიერი წყაროდან 150 მგ/ლ-ზე მაღალი კონცენტრაციით ან – კონცენტრირებულია ან მშრალი სახითაა და აღდგენის შემდეგ შეიცავს კოფეინს ნებისმიერი წყაროდან 150 მგ/ლ-ზე მაღალი კონცენტრაციით	კოფეინის მაღალი შემცველობით – „არ არის რეკომენდებული ბავშვების, ორსულებისა და მეძუძური ქალებისათვის“ – წარწერა განთავსებული უნდა იქნეს სასმელის დასახელების ხედვის არეალში, შემდეგ ფრჩხილებში, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მითითებული უნდა იქნეს კოფეინის შემცველობა, გამოსახული მგ-ში, 100 მლ-ზე
4.2. სურსათი, გარდა სასმელებისა, რომლებშიც კოფეინი დამატებულია ფიზიოლოგიური მიზნებისათვის	კოფეინის მაღალი შემცველობით – „არ არის რეკომენდებული ბავშვებისა და ორსულებისათვის“ – წარწერა განთავსებული უნდა იქნეს სურსათის დასახელების ხედვის არეალში, შემდეგ ფრჩხილებში, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მითითებული უნდა იქნეს კოფეინის შემცველობა, გამოსახული მგ-ში, 100 მლ-ზე. სასურსათო დანამატებისათვის კოფეინის შემცველობა ეტიკეტზე გამოსახული უნდა იქნეს სადღეღამისო რეკომენდებულ პორციაზე გადაანგარიშებით.“;

ნ) დანართ №7-ის – „ინგრედიენტების რაოდენობის აღნიშვნა“ – მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სურსათში, რომელმაც თერმული ან სხვაგვარი დამუშავების გამო დაკარგა სინესტე, ინგრედიენტების რაოდენობა გამოსახული უნდა იქნეს პროცენტულად და უნდა შეესაბამებოდეს მზა სურსათში გამოყენებული ინგრედიენტების რაოდენობას, თუ აღნიშნული რაოდენობა ან ეტიკეტზე აღნიშნული ინგრედიენტების საერთო რაოდენობა არ აღემატება 100%-ს. თუ ეტიკეტზე აღნიშნული ინგრედიენტების საერთო რაოდენობა აღემატება 100%-ს, ამ შემთხვევაში რაოდენობა მითითებული უნდა იქნეს მზა სურსათის 100 გ-ის მომზადებისათვის გამოყენებული ინგრედიენტების წონის მიხედვით;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ო) დანართ №8-ის – „ნეტო“ (სუფთა) წონის მითითება“ – მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ მყარი კონსისტენციის სურსათი მოთავსებულია თხევად არეში, მითითებული უნდა იქნეს სურსათის მშრალი წონის „ნეტო“ (სუფთა) წონაც. თუ სურსათი გარედან დაფარულია მინანქრით, ნეტო (სუფთა) წონა არ მოიცავს მინანქრის წონას.“;

პ) დანართ №9-ის – „ვარგისიანობის მინიმალური ვადა, „გამოიყენება .... მდე“ ვადა და გაყინვის თარიღი“:

პ.ა) პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ა) არ შეიძლება შენახულ იქნეს 3 (სამ) თვეზე მეტი ვადით, საკმარისია, მითითებულ იქნეს მხოლოდ რიცხვი და თვე. განსაკუთრებით მალფუჭებადი სურსათისათვის სავალდებულოა მითითებულ იქნეს ასევე საათი;

დ.ბ) ინახება 3 (სამ) თვეზე მეტი ვადით, მაგრამ არაუმეტეს 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში, საკმარისია, მითითებულ იქნეს მხოლოდ თვე და წელი;“;

პ.ბ) მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) თარიღი მოიცავს რიცხვს, თვესა და წელს, ამავე თანმიმდევრობითა და არაკოდირებული ფორმით.“;

ჟ) დანართ №12-ის – „გამოყენების რეკომენდებული ნორმები“ – მე-2 პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ვიტამინებისა და მინერალების მნიშვნელოვანი რაოდენობით („წყარო“) აღნიშვნისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №523

2018 წლის 6 ნოემბერი, ქ. თბილისი

„2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №592 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №592 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2017, 470000000.10.003.020302) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. №2 დანართის („იმუნიზაცია“) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 22,400.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების შესყიდვა	17.210.0
2	სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების შესყიდვა	128.0
3	ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა	3.972.0
4	გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა	309.0
5	აცრა-ვიზიტისა და ექიმის კონსულტაციის მომსახურება	30.0
6	„ცივი ჯაჭვის“ მოწყობილობების/ინვენტარის შესყიდვა და მონტაჟი	751.0
	სულ:	**22,400.0.“.**

2. №8 დანართის („აივ-ინფექცია/შიდსის მართვა“) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 10,277.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება, მათ შორის:	2,522.0
1.1	აივ-ინფექციაზე/შიდსზე, B და C ჰეპატიტებზე სკრინინგული კვლევისა და არვ მკურნალობის მონიტორინგისათვის საჭირო ტესტ-სისტემებისა და სახარჯი მასალების შესყიდვა	1,721.0
2	აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა	3,550.0
3	აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფა	2,450.0
4	აივ-ინფექციის/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის (სრულად) და მეორე რიგის (სრული ღირებულების არაუმეტეს 50%-ისა) მედიკამენტების შესყიდვა	1,755.0
	სულ:	**10,277.0.“.**

3. №9 დანართის („დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 8. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 7,783.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ანტენატალური მეთვალყურეობა, მათ შორის:	6,113.0
1.1	სამედიცინო მომსახურება სიფილისზე ეჭვის შემთხვევაში	45.0
2	გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა	413.0
3	ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/ შიდსისა და სიფილისის განსაზღვრისათვის საჭირო ტესტებითა და სახარჯი მასალებით („B“ ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინით) უზრუნველყოფა	162.0
4	ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე	800.0
5	ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა	95.0
6	მედიკამენტებითა და საკვები დანამატით უზრუნველყოფა, მათ შორის:	200.0
6.1	ფოლიუმის მჟავისა და რკინის პრეპარატების შესყიდვა	20.0
6.2	სამკურნალო საშუალებების (მათ შორის, საკვები დანამატის) ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა (საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გაფორმების ხარჯები, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება და ბენეფიციარებზე გაცემა სამედიცინო დაწესებულებების/აფთიაქების მეშვეობით)	54.0
6.3	მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის შესყიდვა	126.0
სულ:		**7,783.0.“.**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №527

2018 წლის 6 ნოემბერი, ქ. თბილისი

სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხა“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი

სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხა

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე, მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობებია:

1. ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი, მათზე დამაგრებული მიწის ფართობით, ასევე შესაბამისი ქონება, რომელიც აუცილებელია მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესრულებისა და უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები, ნაპირსამაგრი ნაგებობები.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა სარგებლობის გზები, ხიდები, გვირაბები, ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები.

4. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისა და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების (თავშესაფრების) განთავსებისათვის აუცილებელი ქონება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №535

2018 წლის 8 ნოემბერი, ქ. თბილისი

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №601 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №601 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2017, 280120000.10.003.020311) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის:

1. **№1.2 დანართის („ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა“) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან დაბადებიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვები (შვიდი წლის შესრულების თვის ჩათვლით), რომლებსაც აქვთ ბავშვთა პედიატრის/ოჯახის ექიმის, ნევროლოგის ან სხვა ექიმ-სპეციალისტის მიერ გამოვლენილი განვითარების ეტაპების დაყოვნება (მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, კომუნიკაციისა და მეტყველების, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური სფეროების განვითარებისა და ადაპტური ქცევის პრობლემა), შეზღუდული შესაძლებლობა ან, ამ მხრივ, რისკი, რაც დადასტურებულია ამ პროგრამის №2 დანართში მოცემული ICD-10-ის დიაგნოზებით. ამასთან, ამ ქვეპროგრამის მოსარგებლე არ შეიძლება იყოს სამიზნე ჯგუფით განსაზღვრული ძირითადი დიაგნოზის – R62.0-ის მქონე ბავშვი, რომელიც ჩართულია №1.3 დანართით გათვალისწინებულ ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამაში. ერთი თვის განმავლობაში ფინანსდება არაუმეტეს 9440 ვიზიტისა, ამ დანართის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ლიმიტების შესაბამისად, მათ შორის: ახალციხის მუნიციპალიტეტში – არაუმეტეს 200 ვიზიტისა თვეში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში – არაუმეტეს 320 ვიზიტისა თვეში, გორის მუნიციპალიტეტში – არაუმეტეს 320 ვიზიტისა თვეში, მარნეულის მუნიციპალიტეტში – არაუმეტეს 240 ვიზიტისა თვეში.“.

2. **№1.5 დანართის („დღის ცენტრების ქვეპროგრამა“):**

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებია:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) 6-იდან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვი, რომელიც არ განეკუთვნება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის კატეგორიას და რომლის ოჯახიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. ამასთან, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური შეფასებით დადგენილი სარეიტინგო ქულა დღის ცენტრის მომსახურებაში ბავშვის ჩართვის შესახებ განცხადების წარდგენის დღისთვის არ უნდა აღემატებოდეს 100 000-ს. ასევე ამავე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები, რომლებიც არ განეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა კატეგორიას და რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას. ერთდროულად ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 611-ს;

ბ) 6-იდან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში და არიან წინა წლების დღის ცენტრების ქვეპროგრამის ბენეფიციარები. ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებული და შესაბამისი დასკვნის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომლებიც არიან „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ ან „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამის“ ბენეფიციარები ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში და არ არიან წინა წლების დღის ცენტრების ქვეპროგრამის ბენეფიციარები. ერთდროულად ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 928-ს;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ერთდროულად ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 681-ს;

დ) 6-იდან 18 წლამდე ასაკის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე, ასევე ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობით გამოხატული სხვა გონებრივი ჩამორჩენის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (მათ შორის, ბავშვები, რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში), ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებული და შესაბამისი დასკვნის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომლებიც არიან „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ ან „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამის“ ბენეფიციარები, ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში და არ არიან წინა წლების დღის ცენტრების ქვეპროგრამის ბენეფიციარები. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 58-ს. ამასთან, ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამიზნე ჯგუფის ბენეფიციარებს არ შეუძლიათ ერთდროულად ისარგებლონ ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფისთვის გათვალისწინებული მომსახურებით.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-4 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 3 775 000 ლარით.“;

ბ.ბ) მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. დღის ცენტრების მომსახურების მისაღებად ბენეფიციარისათვის განკუთვნილი ვაუჩერის ტალონები 2018 წლის ნოემბრის თვეში გაიცემა მომსახურების მიღების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თვიდან 12 თვეზე ან, საჭიროებიდან გამომდინარე, თვეებზე, მაგრამ არაუმეტეს ბავშვის, მათ შორის, შშმ ბავშვის 18 წლის ასაკის მიღწევის თვის ჩათვლით თვეებზე, ხოლო შშმ პირებზე (მათ შორის, შშმ ბავშვებზე) – შშმ სტატუსის მოქმედების ვადით. ამასთან, დღის ცენტრში პირის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად, მომსახურების მისაღებად ბენეფიციარისათვის განკუთვნილი ვაუჩერი გადაეცემა ბენეფიციარს ან მის კანონიერ წარმომადგენელს/მინდობით აღმზრდელს, არა უგვიანეს გადაწყვეტილების მიღების თვის 10 რიცხვის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების მიღების მიმდინარე თვის 10 რიცხვის ჩათვლით მომსახურების მიმწოდებლისათვის ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონის გადაცემას.“;

ბ.გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ვაუჩერის გაცემა წარმოებს არაუმეტეს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა მომსახურების შესაძლებლობის ჯამური ლიმიტისა და ჩამოთვლილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სამიზნე ჯგუფების მიხედვით დაწესებული, ერთდროულად მოქმედი ვაუჩერების შემდეგი ლიმიტებისა, რომელთა ცენტრალიზებულ კოორდინაციას ახორციელებს სააგენტო. ამასთან, ვაუჩერი მოქმედებს მხოლოდ იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ (მუნიციპალურ) ერთეულში, რომელშიც იქნა იგი გაცემული:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები
1	ქ. თბილისი	270	214	351	42
2	ქ. ქუთაისი	50	70	66	16
3	ქ. რუსთავი	23	15	44	
4	ქ. ბათუმი	-	50		
5	გორის მუნიციპალიტეტი	60	30	15	
6	ქარელის მუნიციპალიტეტი	10	15		
7	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	-	26		
8	საგურამოს მუნიციპალიტეტი		16		
9	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	-	40	30	
10	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	30	25		
11	თელავის მუნიციპალიტეტი	-	23	38	
12	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	-	14	33	
13	ქ. ფოთი	-	25		
14	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	20	14		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

15	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	-	20		
16	მცხეთის მუნიციპალიტეტი	-	45	22	
17	თიანეთის მუნიციპალიტეტი	30	-		
18	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	24	-		
19	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	45	-		
20	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	24	-		
21	ასპინძის მუნიციპალიტეტი	10			
22	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი		20		
23	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი		15		
24	საჩხერის მუნიციპალიტეტი		18		
25	ქ. წნორი		19		
26	ბორჯომის მუნიციპალიტეტი		30	10	
27	კასპის მუნიციპალიტეტი		20		
28	სენაკის მუნიციპალიტეტი		15	20	
29	ბაღდათის მუნიციპალიტეტი		15		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

30	ვანის მუნიციპალიტეტი		10	8	
31	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი		20		
32	ხონის მუნიციპალიტეტი		13	14	
33	ახმეტის მუნიციპალიტეტი	15		15	
34	წალკის მუნიციპალიტეტი		10		
35	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, გარდა ქ. წნორისა		11	15	
36	მარნეულის მუნიციპალიტეტი		10		
37	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი		20		
38	ხაშურის მუნიციპალიტეტი		20		
39	ბოლნისის მუნიციპალიტეტი		20		
	სულ ბენეფიციარი:	611	928	681	58.“.

3. №1.6.1 დანართის („სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი“):

ა) მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომპონენტის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან სავარძელ-ეტლის საჭიროების მქონე შშმ პირები, მათ შორის, 6-იდან 18 წლამდე შშმ ბავშვები.

2. ამ კომპონენტით გათვალისწინებული დამხმარე საშუალების მიღების თაობაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირი ან პირის კანონიერი წარმომადგენელი/მინდობით აღმზრდელი განცხადებით მიმართავს სააგენტოს. განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში კი – დაბადების მოწმობის ასლი (პირადობის მოწმობის არქონისას);

ბ) შშმ პირის (მათ შორის, შშმ ბავშვის) სტატუსის დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი;

გ) პირზე გაცემული სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი – ფორმა №IV-50/2, რომელშიც მითითებული იქნება ამ კომპონენტით გათვალისწინებული სავარძელ-ეტლის საჭიროება და ელექტრო სავარძელ-ეტლით დამოუკიდებლად სარგებლობის უნარების შეფასების შედეგები;

დ) სასკოლო ასაკის (6-იდან 14 წლამდე) შშმ ბავშვის შემთხვევაში – სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დადასტურებული დოკუმენტი ელექტრო სავარძელ-ეტლის დამოუკიდებლად სარგებლობის შესაძლებლობისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება წარდგენილი დადასტურებული აღნიშნული დოკუმენტი შეფასებისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის შესახებ – 6-იდან 14 წლამდე ასაკის შშმ ბავშვს გადაეცემა მექანიკური სავარძელ-ეტლი;

ე) თუ განმცხადებელი პირის კანონიერი წარმომადგენელია/მინდობით აღმზრდელია, განცხადებას ასევე თან უნდა ერთოდეს:

ე.ა) კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;

ე.ბ) პირის კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი;

ვ) ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).";

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 756 000 ლარით, მათ შორის, ელექტრო სავარძელ-ეტლებისთვის – 537 000 ლარით.".

4. **№1.6.2 დანართის („საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი") მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 2 087 100 ლარით, მათ შორის, თვალის პროთეზირებისთვის არაუმეტეს – 14 000 ლარით.".

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. №1.6.4 დანართის („კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტი“):

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) 33 კოხლეარული იმპლანტის შეძენას;“;

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 427 900 ლარით.“.

6. №1.8 დანართის („დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 400 000 ლარით.“.

7. №1.9 დანართის („მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 7 915 000 ლარით.“.

8. №1.10 დანართის („მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 2 258 000 ლარით.“.

9. №1.11 დანართის („მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 775 000 ლარით.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ დანართის მე-2 მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისი მომსახურებისთვის ერთ ბენეფიციარზე გათვალისწინებული დღიური ანაზღაურების ოდენობა შეადგენს:

ა) დღის ცენტრის მომსახურების შემთხვევაში – 9 ლარს;

ბ) თავშესაფრის მომსახურების შემთხვევაში – 20 ლარს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ამასთან, მომსახურების თვეში შეუვსებელი, ლიმიტით განსაზღვრული ადგილები დღის ცენტრში ანაზღაურდება დღეში 5 ლარით, თავშესაფარში – დღეში 10 ლარით, მაგრამ არაუმეტეს შესაბამისი მომსახურების ლიმიტით განსაზღვრული ადგილების 50%-ისა. ამავდროულად, მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურებისთვის დღეში ასანაზღაურებელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ქ. თბილისში მოქმედ თითოეულ თავშესაფარში – არაუმეტეს 15 და დღის ცენტრში – არაუმეტეს 20 ბენეფიციარის მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხის ოდენობას, ქ. ქუთაისში მოქმედ თითოეულ თავშესაფარში – არაუმეტეს 10 და დღის ცენტრში – არაუმეტეს 20 ბენეფიციარის მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხის ოდენობას, ქ. რუსთავში მოქმედ თითოეულ თავშესაფარში – არაუმეტეს 15 და დღის ცენტრში – არაუმეტეს 22 ბენეფიციარის მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხის ოდენობას.“.

10. **№1.12 დანართის („სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა“):**

ა) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ერთდროულად მოსარგებლე პირთა რაოდენობა, ამ დანართის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს 263-ს, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევაში – 28-ს.“;

ბ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 470 000 ლარით.“.

11. **№1.13 დანართის („მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა“):**

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი – ფორმა №IV-50/2, რომელშიც დიაგნოზის პუნქტში (15.1 ან 15.2) აღნიშნული უნდა იყოს მძიმე ან ღრმა, ან სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა სხვა თანმხლებ ან ძირითად დიაგნოზთან ერთად და „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“ დადგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 17 მარტის №62/ნ ბრძანების მე-17 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრული აქვს სხვა პირის მუდმივი დახმარების საჭიროება).“;

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 162 000 ლარით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

12. №1.14 დანართის („მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 171 000 ლარით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 ნოემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №536

2018 წლის 12 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2013, 470230000.10.003.017200) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-3 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 მუხლი:

„მუხლი 3^1

1. ამ დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის მიმწოდებელი დაწესებულებებისათვის ამავე კომპონენტის ფარგლებში კონტროლისა და რევიზიის შედეგად საჯარიმო (მათ შორის, სადავო) სანქციების ამავე დადგენილების №1 დანართის 19^1 მუხლით განსაზღვრულ გადახდის ადმინისტრირების ღონისძიებებზე გამოცხადდეს მორატორიუმი ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2019 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს მთავრობას წარმოუდგინოს წინადადებები ამ დადგენილების №1 დანართით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მიმწოდებელი დაწესებულებების მიმართ პროგრამის ზედამხედველობის შედეგად საჯარიმო სანქციების დაკისრებისა და მათი ადმინისტრირების განმსაზღვრელი პირობების ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №538

2018 წლის 13 ნოემბერი, ქ. თბილისი

„მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2017, 010110020.10.003.019974) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის:

1. **მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი**:

„ჟ) **პასიური მუნიციპალიტეტი** – ის მუნიციპალიტეტი, რომლიდანაც ამ პროგრამის ფარგლებში არ დაკმაყოფილებულა არცერთი განაცხადი.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. **მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) დუშეთის მუნიციპალიტეტის უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბეთსა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კოთელიის ადმინისტრაციულ ერთეულში რძის გადამამუშავებელი საწარმოების ასაშენებლად საჭირო საპროექტო მომსახურების, სამშენებლო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.“.

3. **მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი**:

„1^1. ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რძის გადამამუშავებელი საწარმოების აშენება და აღჭურვილობით დაკომპლექტება განხორციელდება 2018-2019 წლებში.“.

4. **მე-9 მუხლის 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2^1. მუნიციპალიტეტ(ებ)ში (გარდა ამ მუხლის 2^3 პუნქტითა და მე-8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ერთზე მეტი განაცხადის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მუნიციპალიტეტიდან წარდგენილი განაცხადი დაკმაყოფილდა (ან არ დაკმაყოფილდა ხარვეზის გამო) და პროგრამისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში შესაძლებელია დამატებით ახალი განაცხადების დაკმაყოფილება. ამ შემთხვევაში, განაცხადების დაკმაყოფილებისას დაცული იქნება რიგითობა ისე, რომ მუნიციპალიტეტებში განაცხადების დაკმაყოფილებისას პროგრამაში ჩასართავი პრეტენდენტების რაოდენობის ზრდა მოხდება თანაბარი (პროპორციული) პრინციპით.“.

5. **მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^3 პუნქტი**:

„2^3. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი რეგისტრირებულია პასიურ მუნიციპალიტეტში, პირველ რიგში დაკმაყოფილდება მისი განაცხადი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №416

2018 წლის 1 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით (ვებგვერდი, 17/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.22.033.016392) დამტკიცებულ „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)“-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და XXII კარის 98-ე ჯგუფის:

1. **„დამატებითი შენიშვნები პოზიციების მიმართ“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„დამატებითი შენიშვნები პოზიციების მიმართ:

1. 9801 სასაქონლო პოზიციაში ტერმინი „მანქანის ნაწილი“ აღნიშნავს ნებისმიერ ნაწილს, რომლიც დამატებითი გამოკვლევის გარეშე შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული ასეთად.

2. 9803 სასაქონლო პოზიციაში ჩაირთვება 4201, 4202 და 4203 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი მეორადი მოხმარების საქონლის ნაკრებები.

3. 9804 სასაქონლო პოზიციაში ჩაირთვება 9401 და 9403 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი მეორადი მოხმარების ავეჯი.

4. 9805 სასაქონლო პოზიციაში ჩაირთვება მხოლოდ ისეთი ნაჭრები და ქსოვილები, რომელთა სამკერვალო საწარმოებში გამოყენება შეუძლებელია ერთი სახეობის ნაჭრის მცირე რაოდენობის გამო.“.

2. 9804 00 000 00 **სასაქონლო ქვესუბპოზიცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

”

9804 00 000 00	მეორადი მოხმარების ავეჯი	—

“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №417

2018 წლის 1 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ძ“ და „წ“ ქვეპუნქტები:

„ძ) პლასტიკის პარკის იმპორტის შემთხვევაში – შესაბამისობის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პლასტიკის პარკის სისქისა და შემადგენლობის შესახებ;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წ) ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების იმპორტის შემთხვევაში – პარკის სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის EN 13432:2000 სტანდარტთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №420

2018 წლის 6 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ძ“ და „წ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ძ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ლ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების შემთხვევაში:

ძ.ა) სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების ქარხანა-დამამზადებლის ან მისი ოფიციალური წარმომადგენლობის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება ქარხნულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ გამოყენებისათვის;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ძ.ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების გათვალისწინებით გაცემული „სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი (ფორმა NIV-50/2)“, რომელიც ადასტურებს მისი სავარძელ-ეტლით გადაადგილების საჭიროებას და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული, აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე გაცემული „სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერი (ფორმა NIV-50/4)“, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ამ პირისათვის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭებისა და სტატუსის მინიჭების ვადის შესახებ;

წ) პლასტიკის პარკის იმპორტის შემთხვევაში – შესაბამისობის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პლასტიკის პარკის სისქისა და შემადგენლობის შესახებ;“;

ბ) „წ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჭ“ ქვეპუნქტი:

„ჭ) ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების იმპორტის შემთხვევაში – პარკის სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის EN13432:2000 სტანდარტთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 6 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №421

2018 წლის 7 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებს სამსახურის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 7 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №422

2018 წლის 9 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

649	4289	ა(ა)იპ – ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი
653	4293	ა(ა)იპ – ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღი
1019	4659	ააიპ – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი
1020	4660	ააიპ – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა
1021	4661	ააიპ – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი
1219	4859	ა(ა)იპ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი
1220	4860	ა(ა)იპ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება
1223	4863	ა(ა)იპ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა
1227	4867	ა(ა)იპ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ბიუჯეტის განმკარგველი – 5090 – ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“ – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

1450	5090	ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრი“.

“.

3. ბიუჯეტის განმკარგველის – 1450 – ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველი:

„

1451	5091	ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“.

“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №423

2018 წლის 9 ნოემბერი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის:

1. 81-ე **მუხლის**:

ა) **მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4. საგადასახადო ორგანოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44^4 და 66^4 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 91^2 მუხლით, 91^3 მუხლის პირველი ნაწილით, 99-ე მუხლით, 127^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 129^1 მუხლით, 135^2 მუხლის მე-2 ნაწილით, 153-ე, 153^1, 153^5, 153^7, 153^8, 153^{10}–153^{12}, 154^1, 154^2, 155^1 და 155^2 მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი–მე-18 ნაწილებით, 155^5, 155^6, 155^9, 155^{10}, 157-ე, 157^1–157^4, 158-ე, 158^1, 159^4, 163-ე, 164-ე, 164^4, 165-ე–165^3, 165^{10}, 165^{11}, 171^5, 177^{14}, 178-ე, 179^3, 191^1, 194-ე, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. საგადასახადო ორგანო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82^{5} მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 127^{1} მუხლის მე-2 ნაწილით, 129^{1} მუხლით, 135^{2} მუხლის მე-2 ნაწილით, 153^{7}, 153^{8} და 153^{10}–153^{12} მუხლებით, 155^{3} მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155^{5} მუხლით, 155^{6} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 157-ე, 165-ე, 165^{10} და 165^{11} მუხლებით, 171^{5} მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, 177^{14}, 179^{3}, 191^{1}, 194-ე, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10^{2} მუხლის მე-2 პუნქტით.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, აღნიშნულის დასადასტურებლად ოქმის შესაბამის გრაფაში აკეთებს აღნიშვნას და დამატებით ხელმოწერას, რის საფუძველზეც ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. ოქმში ასევე მიეთითება შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმის თანხა). სამართალდამრღვევს ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^{2} მუხლის მე-2 ნაწილით, 153^{7}, 153^{8} და 153^{10}–153^{12} მუხლებით, 155^{3} მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155^{5} მუხლით, 155^{6} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^{5} მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, 177^{14} და 191^{1} მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაშიც, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას.“.

2. 82-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„5. თუ სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას და უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე, ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153^{7} და 153^{8}, 153^{10}–153^{12} მუხლებით, 155^{3} მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155^{5} მუხლით, 155^{6} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^{5} მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით და 191^{1} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას და სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე და აღნიშნული დაფიქსირებულია ტექნიკური საშუალებით (ფოტო ან/და ვიდეოგადაღების მეშვეობით), ოქმი ჩაბარებულად ითვლება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^{2} მუხლის მე-2 ნაწილით და 177^{14} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ადმინისტრაციული გამოკვლევის საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადგილზე არ შედგეს და სამართალდამრღვევს ჩაჰბარდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. ამ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე სამართალდამრღვევის ხელმოწერა სავალდებულო არ არის. ამასთან , საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^{2} მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი შესაძლებელია დაფიქსირდეს ტექნიკური საშუალებით (ფოტო- ან/და ვიდეოგადაღების მეშვეობით).“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №424

2018 წლის 9 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის №408 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის №408 ბრძანებით (ვებგვერდი, 08/12/2015, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016839) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე, მინისტრის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №47/ნ

2018 წლის 6 ნოემბერი, ქ. თბილისი

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებაში (სსმ, №14, 05/02/2010, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.014168) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ (დანართი №1) 5^1 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმით ან აკრედიტაციის გაუქმებით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში, რიგგარეშე მობილობა ტარდება გამარტივებული წესით:

ა) ამ დაწესებულებების სტუდენტთათვის;

ბ) აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის მიხედვით მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება ამ დაწესებულებაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც ამ დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება მოიპოვეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შედეგად;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) მობილობის მსურველთათვის, რომლებმაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით მოიპოვეს ამ დაწესებულების ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობს ის პირიც, რომლის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან გასულია ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული თორმეტთვიანი ვადა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №48/ნ

2018 წლის 8 ნოემბერი, ქ. თბილისი

„პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 30/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430030000.22.022.016672) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„2. მართვის სისტემა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების შედეგებს ასახავს მართვის სისტემის სპეციალური პროგრამაში. ამ შედეგების ასახვის შემდგომ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, აპლიკანტი უფლებამოსილია შეცვალოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველადი საფეხურების რეიტინგული ჩამონათვალი, მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის ფარგლებში, ან დაამატოს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის ფარგლებში, გარდა, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, რომლის დაშვების წინაპირობა არის შიდა კონკურსი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №49/ნ

2018 წლის 8 ნოემბერი, ქ. თბილისი

„მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №112/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №112/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 05/09/2016; ს/კ: 430110000.22.022.017185) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის“ მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. **გარდამავალი დებულებანი**

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016 წელს ჩარიცხული პირებისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების მიზნით:

ა) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთაგან ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადგილების ფარგლებში დასაფინანსებელ პირებს შეარჩევს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავის მიერ დადგენილი წესით და 2016 წლის 14 ოქტომბრის ჩათვლით წარუდგენს სამინისტროს;

ბ) სამინისტრო ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას აგზავნის სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას ამოწმებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და 5 სამუშაო დღის ვადაში სამინისტროს უდასტურებს ინფორმაციის სისწორეს, ასევე სამინისტროს უგზავნის ინფორმაციას იმ პირების შესახებ, რომლებიც ჩარიცხულნი არიან ორ ან მეტ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018 წელს ჩარიცხული პირებისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების მიზნით:

ა) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთაგან ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადგილების ფარგლებში დასაფინანსებელ პირებს შეარჩევს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავის მიერ დადგენილი წესით და 2018 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით წარუდგენს სამინისტროს;

ბ) სამინისტრო ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას აგზავნის სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას ამოწმებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და 5 სამუშაო დღის ვადაში სამინისტროს უდასტურებს ინფორმაციის სისწორეს, ასევე სამინისტროს უგზავნის ინფორმაციას იმ პირების შესახებ, რომლებიც ჩარიცხულნი არიან ორ ან მეტ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №50/ნ

2018 წლის 8 ნოემბერი, ქ. თბილისი

„პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 05/09/2016, ს/კ: 430030000.22.022.017184) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის“ (დანართი) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5) 2018-2019 სასწავლო წლისთვის ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგენს 2018 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/511

2018 წლის 12 ნოემბერი. ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის №1-1/591 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის №1-1/591 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, matsne.gov.ge, 15.04.2011, 040030000.22.024.016062) დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთები, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესსა და პირობებში“ შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის მრავალჯერადი ნებართვის გაცემა – 10 ლარი;

თ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილი საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის მრავალჯერადი ნებართვის გაცემა – 10 ლარი;“;

ბ) „რ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$რ^1$“ ქვეპუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„რ[1]) სააგენტოს მიერ გაცემული მძღოლის ციფრული ტრაქოგრაფის ბარათის მფლობელ მძღოლს, ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, ახალი ვადით ბარათის მისაღებად უფლება აქვს ტრენინგის გარეშე გაიაროს მხოლოდ ერთჯრადი ტესტირება, რომლის ჩაბარების შემთხვევაში გაიცემა მძღოლის ბარათი ამ წესის „ჟ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. ტესტირების ჩაუბარებლობის შემდეგ პრეტენდენტი თავიდან გაივლის ტრენინგს, რისთვისაც თავიდან იხდის მომსახურების საფასურს.

2. მე-5 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 მუხლი.

„მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

2018 წლის 15 ნოემბრიდან 2019 წლის პირველ მაისამდე ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ს.ბ“ და „ტ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებების გაწევაზე საფასური არ გადაიხდება.

ბ) „ტ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური განისაზღვროს 400 ლარით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრი

გიორგი ქობულია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №33024

2018 წლის 19 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1):

ა) პირველი მუხლის 12^4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^5 პუნქტი:

„12^5. „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის VI დანართში მითითებული საქონლის (სამშენებლო პროდუქტები (ცემენტი, ელექტროკაბელები, არმატურა, პლასტმასის მილები)) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის მიზნით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, ამავე რეგლამენტის 1^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტ(ებ)ის წარუდგენლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი დეკლარანტს გადასცემს „შეტყობინებას სამშენებლო პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ვალდებულებაზე“ (დანართი №I–06) და ადგენს ნაკლოვანებების აღმოფხვრის (შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის) ან საქონლის უკან დაბრუნების ან მის მიმართ იმპორტის გარდა სხვა სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისათვის 6 სამუშაო დღის ვადას, რომელიც აითვლება სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „დანართი №I–05“ შემდეგ დაემატოს „დანართი №I–06“ შემდეგი რედაქციით:

„დანართი №I–06

შემოსავლების სამსახური

თარიღი: _____

საბაჟო დეპარტამენტის

(სტრუქტურული ერთეული)

შეტყობინება
სამშენებლო პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ვალდებულებაზე

_____
(პირის დასახელება/ გვარი, სახელი)

_____
(საიდენტ./პირადი/პასპ. №)

_____
(მისამართი)

ვინაიდან თქვენს მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სამშენებლო პროდუქტის

_____
(საქონლის დასახელება)

შემოტანისას არ იქნა წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებით დამტკიცებული „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ 1^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტ(ებ)ი, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის (მითითებული დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა), საქონლის უკან დაბრუნების ან საქონლის მიმართ იმპორტის გარდა სხვა სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისათვის გეძლევათ 6 სამუშაო დღის ვადა (აითვლება სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან), 20___ წლის _____ ჩათვლით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მითითებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თქვენი ხარჯით განხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებები.

ჩავაბარე _____

(უფლებამოსილი თანამშრომლის სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა)

ჩავიბარე _____

(პირის ხელმოწერა)

შენიშვნა _____

“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ვ. ლაშქარაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

saqarTvelos erovnuli banki

ფულადი გზავნილები ოქტომბერში

15.11.2018

2018 წლის ოქტომბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 137.2 მლნ აშშ დოლარი (365.0 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 11.6 პროცენტით (14.2 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2017 წლის ოქტომბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 93.4 პროცენტი იმ 17 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ოქტომბერში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 17 ქვეყანაზე გასული წლის ოქტომბერში მთელი ფულადი გზავნილების 93.5 პროცენტი მოდიოდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	ფულადი გზავნილების მოცულობა ოქტომბერი, 2018 მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში,%	
		ოქტომბერი, 2017	ოქტომბერი, 2018
სულ	137.2	100.0	100.0
ევროკავშირის ქვეყნები, სულ	49.38	31.55	35.99
მათ შორის:			
იტალია	16.67	10.33	12.15
საბერძნეთი	15.34	10.75	11.18
გერმანია	3.78	2.59	2.75
ესპანეთი	3.44	2.40	2.51
პოლონეთი	2.21	0.33	1.61
საფრანგეთი	1.76	1.19	1.28
გაერთიანებული სამეფო	1.47	1.16	1.07
კვიპროსი	1.27	0.55	0.93
დანარჩენი ქვეყნები, სულ	87.81	68.45	64.01
მათ შორის:			
რუსეთი	39.66	31.93	28.90
აშშ	14.35	9.98	10.46
ისრაელი	11.99	8.95	8.74
თურქეთი	7.52	8.19	5.48
უკრაინა	2.65	1.94	1.93
აზერბაიჯანი	1.86	1.04	1.35
ყირგიზეთი	1.68	0.30	1.22
ყაზახეთი	1.42	0.94	1.04
კანადა	1.14	0.91	0.83

2018 წლის ოქტომბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 21.2 მლნ აშშ დოლარი (56.4 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 18.5 მლნ აშშ დოლარისა (46.2 მლნ ლარისა) გასული წლის ოქტომბერში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com